



პერსონალურ მონაცემთა
დაცვის ინსპექტორის აპარატი

რეკომენდაციები ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესახებ

რეკომენდაციები განკუთვნილია ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი ყველა მონაცემთა დამმუშავებლისთვის¹ და მიზნად ისახავს „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულებასა და ევროპული სტანდარტების დანერგვას.

ვიდეოთვალთვალის სისტემა

ვიდეოთვალთვალის სისტემა განიმარტება, როგორც სივრცის, მოვლენის, საქმიანობის ან პირის ვიზუალური/აუდიო მონიტორინგი ელექტრონული მოწყობილობის მეშვეობით.

ვიდეოთვალთვალის სისტემა შესაძლებელია მუშაობდეს როგორც ჩაწერის (ჩანაწერების შექმნის), ისე - მიმდინარე (ნაკადური) მონაცემების რეალურ დროში გადაცემის რეჟიმში. ვიდეოთვალთვალი შესაძლოა ხორციელდებოდეს არა მხოლოდ ვიდეო-ნაკადის, არამედ - ფოტოსურათების გადაღების ან თერმალური გამოსახულების ჩაწერა/გადაცემისთვის.

რეკომენდაციები არ ეხება ანალოგიური სისტემების გამოყენებით ისეთ შემთხვევებს, როგორცაა აუდიო/ვიდეო კონფერენცია და საჯარო ღონისძიებების ჩაწერა/ტრანსლირება.

¹ საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამმუშავების (შეგროვება, შენახვა, გადაცემა და სხვა) მიზნებსა და საშუალებებს.

პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერი

ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით განხორციელებული ჩანაწერი პერსონალურ მონაცემად განიხილება, როდესაც:

- შესაძლებელია მასზე აღბეჭდილი ადამიანის სახის გამოსახულების გარჩევა (პირდაპირი იდენტიფიკაცია)

ან

- ადამიანის სახის ნაკვეთების გარჩევა შეუძლებელია, მაგრამ სისტემის მიერ დაფიქსირებული ნივთების ან/და ადამიანის ქცევის მახასიათებლებით, მათი სხვა მონაცემებთან შედარებით შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება (არაპირდაპირი იდენტიფიკაცია). მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ სხვა სატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში ვიდეოჩანაწერში დაფიქსირებული სანომრე ნიშანი გამოიყენება იმ მანქანის მფლობელის ვინაობის დასადგენად (ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა), რომლის მიზეზითაც მოხდა დაზიანება.

ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზანი

ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვიდეომონიტორინგის მიზანს და არა სისტემის ტექნიკურ მახასიათებლებს. საქართველოს კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ ამომწურავად განსაზღვრავს იმ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც შესაძლებელია ვიდეოთვალთვალის გამოყენება, თუმცა რეგულაცია განსხვავებულია შენობისა და სივრცის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ქუჩასა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვიდეოთვალთვალის დასაშვებია შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- დანაშაულის თავიდან აცილება;
- პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვა.

ტერმინი ქუჩა მოიცავს პარკს, სკვერს, სათამაშო მოედანს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებას და სხვა თავშეყრის ადგილს.

საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობების ვიდეოთვალთვალი დაიშვება შემდეგი მიზნით:

- პირის უსაფრთხოების და საკუთრების დაცვა;
- არასრულწლოვანის მავნე ზეგავლენისაგან დაცვა;
- საიდუმლო ინფორმაციის დაცვა.

ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით შესაძლებელია, განხორციელდეს მხოლოდ შენობის გარე პერიმეტრისა და შესასვლელის მონიტორინგი.

სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში კანონის მოთხოვნა პროპორციულობის პრინციპთან მიმართებაში იმპერატიულია და მონაცემთა დამმუშავებლისაგან მოითხოვს ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენების დასაბუთებას.

ვიდეოთვალთვალის განხორციელება დაუშვებელია გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში!

სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენებისას, დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირი უნდა იყოს ინფორმირებული წერილობითი ფორმით ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ. სასურველია, სამუშაო ადგილის ვიდეოთვალთვალის სისტემის დანერგვამდე, თანამშრომლებთან ჩატარდეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა კონტროლის აუცილებლობის, მიზნის, ფარგლებისა და დასაქმებულთა უფლებების შესახებ.

საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პირისა და ქონების უსაფრთხოების მიზნებისათვის. ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენებისათვის აუცილებელია შენობის მესაკუთრეთა ნახევარზე მეტის წერილობითი თანხმობა, ხოლო ვიდეოკონტროლის განხორციელების შესახებ უნდა ეცნობოს შენობაში მცხოვრებ ყველა პირს.

საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ შესასვლელისა და საერთო სივრცის (სადარბაზო, კიბე, ლიფტის მიმდებარე სივრცე) მონიტორინგი. ბინის შესასვლელის მონიტორინგის განხორციელება

დასაშვებია მხოლოდ ამ ბინის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ან მისი წერილობითი თანხმობით, ხოლო ბინების მონიტორინგი დაუშვებელია².

ვიდეოთვალთვალის განხორციელების პრინციპები

კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ვიდეოთვალთვალი განხილულია სივრცისა თუ ქცევის მონიტორინგის როგორც ერთ-ერთ და არა ერთადერთი საშუალება. ვინაიდან ვიდეოთვალთვალი მიჩნეულია პირად ცხოვრებაში ჩარევის რადიკალურ ფორმად, აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებელმა გააანალიზოს საფრთხე და დაასაბუთოს ამ სისტემის გამოყენების აუცილებლობა, კერძოდ უნდა შეფასდეს:

- მონაცემთა დამმუშავებლის რეალური საჭიროება და მიზანი;
- სისტემის გავლენა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე;
- სხვა საშუალებებით მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.

ვიდეოთვალთვალის სისტემა გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზნით და დაუშვებელია მისი სხვა მიზნით გამოყენება. მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში საკუთრების უსაფრთხოების მიზნით განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენება არ შეიძლება აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის განხორციელებაზე კონტროლის მიზნით.

ნებისმიერ სივრცეში ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას მნიშვნელოვანია პროპორციულობის პრინციპის დაცვა. მონაცემთა დამმუშავებლებმა ვიდეოთვალთვალის სისტემა უნდა გამოიყენონ მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ დასახული მიზნის სხვა საშუალებებით მიღწევა შეუძლებელია ან მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას.

ისეთი ვიდეოთვალის სისტემის გამოყენებისას, რომელიც ვიზუალური მონიტორინგის გარდა, იძლევა აუდიო მონიტორინგის შესაძლებლობას, პროპორციულობის პრინციპის დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია დაასაბუთოს აუდიო მონიტორინგის აუცილებლობა.

ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებული მონაცემები (მათ შორის, ჩანაწერი და ფოტო) უნდა ინახებოდეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად.

² ეს წესი არ ვრცელდება პირადი მიზნებისთვის მონაცემთა დამმუშავებაზე და იმ შემთხვევაზე, როცა ბინის მესაკუთრე/მფლობელი თავად ახორციელებს მის ბინაში ვიდეოთვალთვალს.

ვიდეოთვალთვალის სისტემის მახასიათებლები

ვიდეოთვალთვალის სისტემის მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოყენების მიზანს, უნდა იყოს მიზნის ადეკვატური და პროპორციული. აღნიშნული პრინციპის პრაქტიკული განხორციელებისათვის მონაცემთა დამმუშავებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ გარემოებებზე:

ვიდეოკამერების რაოდენობა, განთავსება და გარჩევადობა უნდა შეესაბამებოდეს ვიდეოგადაღების მიზანს, ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკას, შენობის ფართს, ოთახების განლაგებას და ა.შ. სისტემა უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ მინიმალური სივრცის კონტროლის გზით მიიღწეს მიზანი. თუ კი მიზნის მიღწევა შესაძლებელია დაბალი გარჩევადობის მქონე ვიდეოკამერებით და არსებობს მიზანთან შეუსაბამოდ, დიდი მოცულობით (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა) შეგროვების საფრთხე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამგვარ აპარატურას.

რეალურ დროში მონიტორინგი უნდა შეეძლოს მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილ პირებს (მაგ. დაცვის ან უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს) და ეკრანზე გამოსახულება ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს სხვა პირებისთვის.

თუ კონკრეტული სივრცის ვიდეოთვალთვალის გამოსახულება რეალურ დროში გადაიცემა ამავე სივრცეში (მაგ. მოსაცდელი ოთახი, მაღაზია, აფთიაქი) განთავსებულ ეკრანზე, მხოლოდ ამ სივრცეში მყოფ პირებს უნდა ჰქონდეთ ეკრანზე გამოსახულების ნახვის შესაძლებლობა, რადგან მათ მონიტორის გარეშე შეუძლიათ მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება. მაგ. მაღაზიის ერთ სექციაში მყოფი პირისთვის ხილული უნდა იყოს მხოლოდ ამ სექციაში მიმდინარე ვიდეოთვალთვალის გამოსახულება და არა სხვა.

მონაცემთა უსაფრთხოება

ნებისმიერი მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები.

მონაცემთა უსაფრთხოება გულისხმობს როგორც ჩაწერის განხორციელების, ასევე რეალურ დროში მონაცემთა გადაცემის, დაარქივების, სარეზერვო ასლის შექმნის, შენახვისა და მონაცემებზე წვდომის ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და პროცედურული ღონისძიებების ერთობლიობას. სასურველია, ორგანიზაციის შიდა რეგულაციები შეესაბამებოდეს „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ სტანდარტს (მგს 27001).

მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა განსაზღვროს ვიდეოჩანაწერების შენახვის წესი, მონაცემთა კატეგორიების შესაბამისად, კონკრეტული ვადის მითითებით.

უსაფრთხოების ზომების გატარებისას მნიშვნელოვანია:

გამოყენებული ტექნიკური საშუალებები იძლეოდეს პერსონალური მონაცემების დაცვის შესაძლებლობას. უპირატესობა უნდა მიენიჭოს სისტემას, რომელიც ამცირებს ჩანაწერებზე უკანონო წვდომის რისკებს (მაგალითად დაშიფვრის გზით).

ჩანაწერის ან რეალურ დროში გამოსახულების გადაცემა მოწყობილობიდან სერვერამდე უნდა ხდებოდეს ინფორმაციის მთლიანობისა და უწყვეტობის პირობების დაცვით.

ვიდეოჩანაწერზე წვდომა (მათ შორის ვიდეოთვალთვალის კონტროლის ოთახში შესვლის უფლება) უნდა ჰქონდეს პირთა შეზღუდულ წრეს პირდაპირი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე.

ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას მონაცემთა დამმუშავებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მონაცემთა დამმუშავებასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ ვიდეოთვალთვალის განხორციელება, ჩანაწერების შენახვა, უსაფრთხოების მართვა ხორციელდება კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ, ამდენად მნიშვნელოვანია, დადებულ ხელშეკრულებაში დეტალურად განისაზღვროს მხარეთა უფლება-მოვალეობები და მათი პასუხისმგებლობა.

შენობის ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას კერძო და საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან შექმნან ვიდეო ჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემა. ჩანაწერების (სურათები/ხმა) გარდა, სისტემა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაცემთა დამმუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ.

გამაფრთხილებელი ნიშნები

ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს გამაფრთხილებელი ნიშანი (იხილეთ დანართი), რომლის განთავსების ადგილი და მასზე დატანილი წარწერა და გამოსახულება აღქმადი უნდა იყოს კონტროლის სივრცეში მოხვედრილი ნებისმიერი ადამიანისთვის.

თუ ვიდეოკონტროლის სივრცე მოცულობით დიდია, შესაძლებელია როგორც რამდენიმე, ისე - სივრცის შესასვლელში ერთი გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსება.

დანართი:

გამაფრთხილებელი ნიშნების ნიმუშები:



